



შინაარსი: ქართლი ნ. ყორდანასი — სხვა და-სხვა ამბები. — „გვალის“ კორესპონდენციები. — კვირიდან კვირამდე. — დრეიფუსის საქმე. — „მეგობარი“, ლექსი კ. გოგოლიძისა. — ნაფიც მსაჯულთა სამართალი (შემდეგი) ნ. ელიაშვილი. — ხალხის გულის მესხიდუმლე (შემდეგი) ივ. გომართელისა. — ასოთ ამწყობთა საყურადღებოთ ქეთათური ასოთ-ამწყობისა.

რედაქციის ადრესი: არტილერეის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ქ ა რ თ ლ ი.

X II.



ღეს ჩვენში საყოველთაოთ მიღებულია ის, რომ ქართლი საქართველოს ერთი უკან ჩამორჩენილი კუთხეთაგანია, და ქართლის ხალხი ძალიან დაჩაგრულ მდგომარეობაშია. მარა ვეჭვობ ყველამ იცოდეს რას ნიშნავს ეს დაჩაგრა და საიდან წარმოდგება იგი. საქმე იმაშია, რომ კანონით გაუქმებული ბატონ-ყმობა, საქმით აქ ჯერ კიდევ არ გაუქმებულა. კანონმა გამოუცხადა გლეხს: მომიცა თვისუფლება, მოცილდი ბატონსო. ხოლო ცხოვრებამ კი ჩასჩურჩულა: ვერსად წახვალ, ისევ მაგრათ მიეკარი ბატონსო. და მერე რატომ? განა ეს ბატონის ბრძანებისაგან ან და უმის ნება ყოფლობისაგან მომდინარეობს? განა ბატონი არ უშვებს გლეხს ან და გლეხი არ შორდება ბატონს? არა, აქ უფრო ღრმა მიზეზებია, ვინემ უბრალო სურვილი და ნატვრა. ის, რაც მათ ერთმანეთთან იკვებს და უძლიურს ძლიერს უმორჩილებს, არის საკუთრების წყობილება. საკუთრების ფორმა და საკუთრების შემუშავება — აი ის ფართო ნიადაგი, რომელზედაც აშენებულია ქართ-


ლის დღევანდელი ურთიერთობა. ეს თავისთავათ ცხადია, რომ უმიწა წყლოთ სოფელს ცხოვრება არ შეუძლია, და აი ეს მიწა წყალი რამდენიმე კაცს ხელშია მოგროვილი. სოფელს და მის არე-მარეს ფლობს ბატონი და ამით ის ფლობს სოფელელებსაც. გლეხის სახნაფი, სათესი, საბალახო, ტყე, ვენახი, ბოსტანი — სულ ყველაფერი მემამულის საკუთრებაზე წარმოებს. როგორც კი ის გამოვა თავის სახლიდან, მაშინვე ბატონის მამულზე დაადგამს ფეხს და მანამდის აქ ტრიალებს, სანამდის უკანვე, სახლში არ დაბრუნდება. ქართლის მამულები სიდიდით და სიფართოვით განთქმულია ჩვენში. მეტი შეძლება ნიშნავს აქ მეტ მამულს, ხოლო მეტი მამული მეტ ქვეშევრდომს. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ზემო ქართლი. აქაური მებატონე ნამდვილ ძველებურათ ბატონობს თავის სოფელში. მის სამფლობელოში რამდენიმე სოფელი შედის. ერთი სოფელი ხომ საკუთრათ აქვს, მეორე და მესამე თუ საკუთრათ არა, წილი მაინც უდევს შიგ. ის იტყვის „ჩემი სოფელი“, „ჩემი ხალხი“ და ამით ხატავს სრულ კვამარიტებას. იმას ეკუთვნის არა თუ ის მიწა, რომელზედაც გლეხი მუშაობს, არამედ თვით გლეხიც, გლეხთა მოსამართლე, მედიატორე, მოსაშველე,

დამრიგებელი და სხ. ბატონია. მასში შეერთებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოსამართლო ფუნქცია. მამასახლისი, მწერალი და სხვა მოხელეები მემამულის დაყენებული და მისი ნების აღმასრულებელია. მარა გლეხის საქმე იშვიათათ მიაღწევს ამათთან, იმას სწრაფათ წყვეტს ბატონი. ის, რომელსაც კი უბრძანებს მტყუანი ხარო, უნდა გამტყუნდეს, მეტი გზა არა აქვს. ეს კია რომ ქრთამი და ხრიკები ბატონთან ისე არ გადის, როგორც მამასახლისთან და საქმეც უფრო სწო 'რეთ იჭრება. და ან რა ქრთამი უნდა მისცეს გლეხმა ბატონს, როცა მას იმის „საკადრისი“ არა გააჩნია. ერთ სოფელს ბეგარისაგან უნდა გაეთავისუფლებია თავის გლეხის შეილი, რომელმაც სწავლა მიიღო და სამსახურში შესვლას აპირებდა. უმრავლესობა წინააღმდეგი იყო, იმის ხარჯები ჩვენ დაგვაწვება კისერზე და რატომ გავათავისუფლოთო, ხოლო უამისოთ კი ყმაწვილი კაცი ბრკოლდებოდა. მე-ბატონემ გაიგო ეს, შეჰყარა სოფელი და გამოუტყადა: აბა ვინ ბედავს წინააღმდეგობას, გამოდით წინო. ხალხი შეშინდა, ვერაფერ ვერ გამოვიდა წინ და ქალაღმდეგად ყველამ ხელი მოაწერა. აი როგორი გავლენა აქვს მას სოფელში.

ასე თუ ისე, გლეხს მამული არა აქვს და რომ მოინდომოს შეტენა ძალიან გაუჭირდება. გაუჭირდება იმიტომ, რომ მებატონის მიწა-ადგილები დაგირავებულია ბანკში, ხოლო დაგირავებულის გაყიდვა არ შეიძლება. და დაგირავებულიც რომ არ იყოს, მებატონეს ძალიან ეთაკილება თავისავე გლეხებზე მიწის მიყიდვა, გლეხის „გამამულიანება“ მისთვის სრულებით არ არის ხელსაყრელი. გარდა ამისა, ის თუ გაჰყიდის, გაჰყიდის დიდ ნაჭრებს, პატარ-პატარა ნაჭრებს კი ძალიან იშვიათათ. იმდენი ვაჭირება არა აქვს და რატომ ჩაიდინოს ეს „სასირცხო“ საქმე. ეს კიდევ ცოტაა. იშვიათათ დართავს მებატონე ნებას თავის ყმას „ნადელები“ გამოიყიდოს. „ნადელების“ შეყიდვა ყმას რამოდენიმეთ გაათავისუფლებს ბატონის უფროსობისაგან და ეს ამ უკანასკნელისათვის სასურველი არ არის. ესეც კია რომ თვიჯონ გლეხებიც არ მეცადინებენ თავის დახსნას, ხმა დაუგლიათ, რამდენსამე ხანს შემდეგ „ნადელები“ მუქათთ დაგერჩებო და თავს აღარ იწუხებენ. ასე რომ, აქაურ გლეხთა უმრავლესობა არა თუ სხვის მიწაზე ხნავს და თესს, არამედ სხვისაზე კიდევაც მოსახლეობს. ის, ასე გვონია, ზეციდან ჩამოფრენილა და აქ, ამ უცხო ალაგას, დროებით დაბინავებულაო. გლეხი კაცის წელში გამაგრება და განვითარება, თანამედროვე ხანაში, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მას საკუთრება და მკვიდრი მოსახლეობა ექნება. ქართ-

ლელი „ტეტი“ მოკლებულია საკუთარ მიწა-ადგილს, მოკლებულია მკვიდრ მოსახლეობას და რაღა გასაკვირველი ის მიწასთან იყოს გასწორებული. შეიძლება ითქვას რომ ქართლის გლეხობა ბოგანო ხალხია, რომელსაც სხვისი მიწა-წყალი ისე შეჰყავრება, როგორც თავისა, და აღარ შორდება. —კაცო, თუ ასე შევიწროებული ხართ, სხვაგან ვერ წახვალთ? ვუთხარი ერთ გლეხს. —აბა, ბატონო, სად წაგიდეთ? მომიგო მან და მით აღიარა, რომ წასავალი გზა აღარ სად არისო...

მიწას მემამულე არ ამუშავებს, ის ჰრის ნაჭრებათ და გლეხებს უჩივებს შესამუშავებლათ. ლალა აქა-იქ მოსავლის მესამედა, უფრო ხშირათ მეოთხედი, კიდევ უფრო ხშირათ კი დღიურზე, ორი კოდი და ორი ჩანახი (10 ფუთი). ამაზე მეტა ლალა იმერეთში, მარა იქაურ გლეხს ეს ისეთ ტვირთათ არ აწვება, როგორც აქა-კრს. აქ ის მუდამ ლალის სიმძიმეს უჩივის, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ აქ მიწის დამუშავებას მეტი შრომა და ოფლის ღერა ესაჭიროება, ვინემ იმერეთში. იქ ერთი უღელი ხარითაც იოლათ წახვალ, აქ კი 7—8 უღელი ხარკამეჩია საჭირო, რომ გუთანი გაატარო. განსაკუთრებით უჩივიან გლეხები განსახლრულ ლალას. ამ შემთხვევაში მებატონისთვის სულ ერთია კაი მოსავალი იქნება თუ ცუდი, მან ორი კოდი და ორი ჩანახი დღიურზე უთუოთ უნდა მიიღოს. ბეგრი მებატონე შედის გლეხის მდგომარეობაში და მოუსავლობის დროს ნაკლებს ართმევს; ესენია უფრო ძველი, მოხუცი მებატონეები, რომლებსაც კიდევ ახსოვთ პატრიარქალური ურთიერთობა და ახალი მოთხოვნილებები ცოტა აქვათ. ისინი მუდამ სოფელში ცხოვრობენ, ხალხთანაც დაახლოვებული არიან ღ მისი ჰირვარამი ასე თუ ისე ესმისთ. ხოლო ახალი, ეგრეთ წოდებული განათლებული მებატონე სულ სხვანაირ დამოკიდებულებაშია სოფლელთან. ჯერ ერთი რომ ის მეტის მეტი „გათანამედროვებულია“ თავისი მოთხოვნილებებით და უსაქმობით. ის ცხოვრობს ქალაქში, მოგზაურობს რუსეთსა და ევროპაში, ის იცვამს მოდურათ, ჰამს ევროპულათ —ერთი სიტყვით კულტურული ადამიანია. საიდან უნდა აიღოს ამავის დასაკმაყოფილებელი წყარო? საიდან და თავის მამულიდან, რასაც თვიჯონ არც კი ხედავს, არც კი იცნობს იმას ვინც ამუშავებს, არ იცის ვის რამდენი მოაქვს, ვინ როგორ იხდის. ყველა ეს მოურავის ხელშია, რომლის ერთათ ერთი მიზანია მოატყუოს ბატონი, შეაფიწროვოს გლეხები და მით თვითონ გამდიდრეს. ბატონი შეთელის სოფელში, აბა ფული, მოურავოვო. ესეც აქეთ ეცემა, იქით ეცემა, გლეხებს მიაჩრბე-მოაჩრბევს, და ალებული ფულიდან ერთ



პატარა ნაწილის ბატონს უგზავნის, დიდ ნაწილს კი თვითონ იღებს ჯიბეში. საუკეთესო მებატონე ამას თვითონ გრძნობს, მარა არ იცის რა ქ ა ს, როგორ მოუაროს ამ გაჭირებას. მისი სული და გული ქალაქისკენ არის, აქ პოულობს ის სიამოვნებას, აქ იკვებებს ყოველნაირ სიტკბობას. სოფელში? სოფელშია მარტობა და შრომა, რაც ასე ჭირივით ეჯავრება მას. წელს ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ერთ ასეთ მებატონეზე, რომელიც სოფელში დაბინავდა, პირველათ ვითომ იმედებსაც იძლეოდა, გაზთებშიაც კი შექაქ-შამოაქქეს და ახლა დასეტყვილ გლეხებს ძალათ ართმევს მის ორ კოდს და ორ ჩანახს. მაშინ როდესაც უსწავლევი მემამულენი (მისი მეზობლები) შედიოდნენ დასეტყვილთა მდგომარეობაში, ეს კი გაიძახა: საქმე პირობაა, როგორც გავრიდით ისე უნდა მოგვცენო!

ერთი სიტყვით, რაც უფრო მრავლდებიან ახალი მებატონეები, ვითარდება მათი მოთხოვნილებები, ხოლო ამათ დასაკმაყოფილებლათ მეურნეობის გასაუმჯობესებელ ახალ-ახალ საშუალებებს არ ეძებენ, მით უფრო ისინი ტვირთათ აწევიან სოფელს...

გლეხი მარტო ღალას არ იხდის, მემამულის სასარგებლოთ. იმას მრავალი სხვა-და-სხვა გადასახადები აძევს; ფებს ვერ გადადგამს ისე, რომ მოუარავი არ დახედეს და თავისი არ მოიარხოვოს. მაგალითისთვის ავიღებ ერთ ცნობილ სოფელს, (ბრილს) რომელზედაც ამ ბოლო ხანებში ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ და დღესაც ლაპარაკობენ. სოფელი ვარეგანი შენედულობით მეტათ ღარიბია, სახლები ხისაა, რალაც ჯარგლებივით აშენებული. წინეთ უფრო კარგი სახლები იდგნენ, მითხრა ჩემმა თანამგზავრმა, მაგრამ ვალეები დაეღვათ და გაყიდესო. ე. ი. სოფელი ქონებით წინ კი არ წასულა, არამედ ჩამოქვეითებულა და გაღარიბებულა. მე პირდაპირ ეკლესიასთან ავედი და გლეხებმაც ჩქარა მოიყარეს თავი. — ყანები წელს როგორი გაქვთ, შევეკითხე ერთ მათგანს. — არა უშავსრა შენი ჭირიმე, მომიგო მან. — შარშან როგორი გქონდათ? — შარშან რა გვექნებოდა, როცა არ გვეთესა, ბატონთან დაეაში ვიყავით და მიწები არ დაგვანება. — მაშ რით ცხოვრობდით? — ისე, შენი ჭირიმე, აი სხვა სოფლებში მივიდიდით და ორი სამი თვის სარჩო სიმინდი მოგვყავდა. — „ნადლევი“ რამდენი გაქვთ? — ძრიელ ცოტა, ახლა მაინც ერთმანერთს გავეყარეთ და თითო კომლს ხშირათ ერთი დლიურიც არ შეგვხვდა. — ხიზნები არიან აქ? — არიან ცხრა კომლი, სხვა კი სულ (31 კომლი) საბატონოა — რა პირობებით იღებთ სამუშაო მიწებს? — კანდრახტია დაწერილი სამ სამი წლით და დლიურზე ვაძლევეთ ორ კოდს და ორ ჩანახ ღალას. — დლიურზე რამდენი მოდის? — ეკ მო-

სავალზეა დამოკიდებული, ხან ორი კოდიც ძლიუს მოდის, ხან კი ათსაც გადააცილებს. — ცოტა მოვიდეს თუ ბევრი, მაინც ორი კოდი და ორი ჩანახი უნდა მისცეთ? — რასაკვირველია, წინანდურათ კი არ არის. — წინეთ როგორ იყო? — ამ 8 წლის წინეთ ვაძლევდით მოსავლის მეოთხედს, ცოტა მოვიდოდა — ცოტაა წაიღებდა, ბევრი იყო და ბევრს. შემდეგ ეს წესი შეგვიცვალეს და ფულით გადასახადი შემოიღეს, ჩარექზე 30 მ., ლიტრაზე 120 მ. 1). ახა ღარიბი ოჯახი საიდან აიღებდა ამოდენა ფულს, ვერ შეეუძვლით და გამოეუცხადეთ: არ შეგვიძლია გადახდა, რაც ვინადეთ ისიც კმარა, ისევე ძველი წესი შემოვიღოთ. ბატონი შევიდა ჩვენ გაჭირებაში, ფულით გადახდა გააუქმა და შემოიღო დლიურზე ორი კოდი და ორი ჩანახი, რაც დღემდის ღარჩა. — „ნადლევი“ რას იხდით? — დლიურზე 3 მ. წელიწადში. — სამოსახლა მიწაზე? — სახლის და ბოსლის მიწა რამდენი ოთხკუთხ საყენია იმდენ-შაურს ვაძლევეთ, ხოლო კალოს და საბძლის მიწაზე რამდენი ოთხკუთხი საყენია იმდენ ორკაპეიკს. — ტყეს როგორ ხმარობთ? — ტყეზე ცალკე გადასახადია, შეგვაწერენ თითო კომლს რამდენიმე მანეთს წლიურათ და უნდა ვაძლიოთ. მაგ. მე წელს 7 მ. მაქვს შეწერილი. — რამდენიც გინდათ იმდენს გამოიტანით? — არა, ამ ფულში გამოიტანთ მხოლოდ შინ სახმარ შეშას, გასაყიდ შეშაზე კი ცალკე ბაჟია, ურემზე ათი შაური. — და მერე როგორ გაყიდით? — გაყიდით მანეთ ნახევრათ, სამაგიეროთ ერთი კაცი და ხარ. ურემი ორი სამი დღე ცდება, უნდა წავიღოთ ან ხაშურში და ან სურამში. — წნელი, სარი? — ამავებზედაც ცალკე გადასახადია, რამდენ დლიურ ვენახსაც შემოვიღობავთ, იმდენი 3 მ. უნდა მიეცეთ; ერთი ლობე რამდენსამე წელიწადს ძლებს, 3 მ. კი ყოველ წელს უნდა ვიხადოთ. — მამულების შესახებ დავა ხომ არა გაქვთ? — ახლა აღარა, გექონდა, მამა პაპეული მიწები ჩამოგვართვა ბატონმა და სამაგიერო სხვაგან მოგვიქრა, ჩვენ არ ვინდომეთ, და ვუჩივლეთ, მანაც გვიჩხია მიჩაფლეთო. მაგრამ კანონმა ჩვენ გაგვამტყუნა, ბატონს ნება აქვს სამაგიერო მოგვცესო. — ნება კი არა ისა, ჩაერია მეორე, ჩვენ ვერ ვიმეცადინეთ დროზე, და წავაკეთ — ახლა როგორ განწყობილებათ ში ხართ მებატონეებთან? — ახლა კარგში, ჩაჩნები დაითხოვა... ეკლესიდან 2) წავედი წყაროზე. წყარო

1) ჩარექი შეიტყვს უდაწიბეს გლეხის ოჯახს, ხოლო ლიტრას ოთხი ჩარექია, ე. ი. შინგულზე ოთხკუთხ უფრო შექლებული უნდა იყოს გლეხი, რომ ლიტრის სათვალავში მოთავსდეს.

2) ეკლესიაში ასევეა ასლათ ნახული გეტყვის ვკარბი, რომელსედაც დავით გურამაშაღატი აწიქა.



მართლაც შესანიშნავი ყოფილა, ამის მზგავსი მე არსათ არაფერი მინახავს. ხუთი რკინის ლუ-ლიდან ეს ცივი, ანკარა წყალი ღელესავით გად-მოჩქრიალებს. სწორეთ საკვირველი უნდა იყოს, რომ ასეთ ბუნებით შემკულ სოფელს მებატონეები თავს ანებებენ და (ხევაან ცხოვრობენ (7 ძმაში, აქ მხოლოდ ერთი ცხოვრობს).—ეს წყარო მართლა დაგიკეტათ ბატონმა? შევეკითხე გლეხებს.—არა, მხოლოდ დაგვემუქრა დავეკეტავო. ამ ლაპარაკში უკვე დაბნელდა, ჩვენ შევეჯექით ცხენებზე და ვაგბ-რუნდით უკან. გზაზე ვიფიქრე მოდი ერთი გლეხის ოჯახში შევიდეთქვა, დაებრუნდი უკანვე და პირ-ველ შეხედრილ სახლის წინ ჩამოვხტი. სახლი ხისაა, წარმოადგენს ერთ ძრიელ პატარა სადგომს. კუთხეში ერთი ტახტია, შუაზე პურის მარცვლი ყრია. ლო-გინზე ავათმყოფი ქალიშვილი წევს—რა დემართა ავათმყოფს? ვკითხე სახლის პატრონს.—აციებს, მო-მიგო მან.—ხინა ვერ დააღვივით?—კი, ბატონო, ვა-ძლევთ.—სად იყიდეთ?—ჩვენ არ გვიყიდა, ბატონმა მოგვცა.—ბოსელი გაქვს?—არა.—ბელელი?—არა.— ხარი?—ცალი მყავს.—ძროხა?—არა.—ქათმები? ცო-ტა. მაშ რანაირათ ცხოვრობ?—ისე შენიჭირიბე... ეს „ისე“ ძალიან ხშირათ მესმოდა ქართლში და ბო-ლოს, როგორც დაერწმუნდი „ისე“ სანახევროთ შიმშილობას ნიშნავს თურმე. ეს კია, რომ გლეხი ამას არ ამქლანებს, თაკილობს. ახალ ქალაქში ბევ-რი მაგალითები მითხრეს იმისი, რომ ქუჩაში შიმში-ლისაგან დასუსტებულნი წაიქცენ და საჭმელით მოაბრ-უნეს. ერთ ქალს რძე მოჰქონდა გასაყიდათ და უცებ გული წაუყიდა. მიცვიდა ხალხი, წამოაყენეს და რო-ცა გონზე მოვიდა თქვა: პური არ მიჭამია სამი დღეა, რძე გვაქს, პური კი არაო. ეს და სხვა ასეთი გუ-ლის შემზარავი ამბები გადმომცა დიდათ პატივცე-მულმა ეკატერინე ვაბაშვილისამ. და ჩვენში კი გაიძახიან, შიმშილობა საქართველოში არ არის, აქ ყველა მაძღრებიაო!

ნ. ყორღანია.



სხვა-და-სხვა ამბავი.

ვირას, ამ თვის 5, პირველ საათის ნახევარზე აკურთხებენ ბ. მიხეილ გედევანიშვილის სახელობაზე დაარსებულ თფილისის კერძო სამკურნალოს, რომე-ლიც იმყოფება ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, ვარან-ცოვის ძეგლის პირდაპირ.

ყვარელში მასწავლებლათ ნამყოფს დიმ. დუმ-ბაძეს, რომელსაც თფილისის სამოსამართლო პალა-

ტამ ციმბირში გაგზავნა გადაუწყვიტა შმაკოვის ქა-ლის რევოლუერით დაჭრისათვის, ხელმწიფე იმპერა-ტორმა ეს სასჯელი ერთი წლის ციხეზე, ღირსება აუხ-დელაო, შეუტყალა.

კავკასიის საზოგადოების სამეურნეო რჩევამ სა-ჭიროდ დაინახა მიმდინარე წლის კავკასიაში მოსავა-ლის შესახებ ცნობების შეკრება. ამიტომ მან მიმარ-თა სოფლის მემამულეებს, „კავ. სოფ. სამეურ. საზ.“, ვახეთას თანამშრომლებ-კორესპოდენტებს, სამაზრო და საბეითალო ექიმებს, სოფლის მღვდლებს, გადა-სახადების ამკრეფ ინსპექტორებს და თხოვა მათ, რომ შემუშავებულ პროგრამის შეთანხმებულათ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებში მოსავლის შესახებ ცნობები წარმოუდგინონ ამ საზოგადოების რჩევას.

კავკასიის საფილოქსერო კამიტეტმა იშუამდგომ-ლა კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან, რომ მას ნე-ბა მიეცეს ამ წლის შემოდგომაზე მოიწვიოს მევენა-ხეები და მებაღეები თელავში თავყრილობის (სიეზ-დის) გასამართავათ. ადგილობრივმა მთავრობამ შეა-ტყობია საფილოქსერო კამიტეტს, რომ ჩვენი მხრით არაფერი დაბრკოლება არ იქნებაო. შევიძლიათ თე-ლავეში 20—25 ნოემბრამდე ამა წლისა გამართოთ თავყრილობაო.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა შემდეგი მოწერილობა გაუქვანა ოლქის და მაზრის უფროსთ: კანონის ძალით სახელმწიფო და საერო გადასახადე-ბისაგან თავისუფალია ის კომლნი, რომელთა წევრ-ნიც სალდათათ არიან გაყვანილნი და აგრეთვე ის საზოგადოებებიც, რომელთაც ეს კომლნი ეკუთვნიან. მაგრამ ადგილობრივ სამხედრო ბეგარის საკრებუ-ლოებს ჯარში წაყვანილთა სია დროზე არ წარმოუ-დგენიათ და ამიტომ გადასახადებისაგან არ არიან გან-თავისუფლებული. ამ ქამათ მათი განთავისუფლების შესახებ უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობაა აღძრული და ამიტომ, ახალ განკარგულებამდე, იმათ ნუ გადაახდებიან და რჩენილ „ნელომკებსო“.

ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ის სოფლები, რომელთაც თფილისში თავისი ნაწარ-მოები შემოაქეთ გასასყიდათ, განთავისუფლებულ იქნან გადასახადისაგან.

ლანჩუთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წესდება სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია.

სახალხო განათლების მინისტრი შემდეგი ცირ-კულიარით მიმართავს სამოსწავლო ოლქების მზრს-

ნველთ: მასწავლებლებსა და მშობლებთ შორის დიდი ხანია ისმის საჩივარი ღემნაზიგბსა და რეალურ სასწავლებლების შესახებ; მიზეზათ ასახელებენ: სკოლების ოჯახებიდან დაშორებას, ბიუროკრატიული ხასიათის მიღებას, მშრალ ფორმალიზმის გამოდგომას, რომლებიც სკოლებში ჰბადებენ სწავლის უსიცოცხლო მიმდინარეობას, საიდანაც ცხადია, წარმოდგება ყალბი დამოკიდებულება მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის...

ამასთან, რუსული ენის, რუსეთის ისტორიის, რუსული ლიტერატურის და გარშემორტყმულ ბუნებრივი წრის ფერმკრთალი სწავლება, სკოლას ართმევს სიცოცხლეს და ეროვნულ ხასიათს. მომეტებული დრო და მეცადინეობა მიჩენილი აქვს კლასიკურ ენების სწავლას.—ღემნაზიებიდან საუნივერსიტეტოთ გამოშვებული მოსწავლეების მოუშაღებლობა, რეალურ სასწავლებლებიდან სპეციალური საგნების უცოდინარობა და სხვა-და-სხვა... გვაძულებს გავეცნოთ უფრო განათლებულ და გამოცდილ მასწავლებლებს მოსახრებას ამ რთული კითხვების შესახებ. ამიტომ თქვენ გთხოვთ დროით არჩიოთ თითო ოლქიდან 3—4 განათლებული და გამოცდილი კაცი, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა იმ კამისიაში, რომელიც პეტერბურღში იქნება მოწვეული ამ წლის ზამთარში. ასეთ პირთა მოვალეობა იქნება: ყოველის მხრით გარჩევა თანამედროვე საშუალო სკოლების სწავლება-წყობილებისა, სწავლების დამაბრკოლებელ მიზეზების აღმოჩენა და ამათი თავიდან ასაცილებლათ საშუალების ჩვენება. კამისია იქონიებს მსჯელობას, საგნები ისე იქნეს განაწილებული, რომ მოსწავლეებს მეტი დრო დაურჩეს თამაშობისა და ფიზიკური ვარჯიშობისათვის. მოსწავლეების ჯანმრთელობისათვის, თუ საჭირო იქნება, ზოგიერთი საგნების მსხვერპლობაც შეიძლება, რადგანაც ეს უფრო მიგვახსენიებს სწავლების მიზანს.—ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზნეობრივ აღზრდას და სხვა...

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში სწავლა დაიწყო ამ თვის პირველს, ხოლო ქართულ განყოფილებაში კი (თვეში ექვსი მანეთი ღირს) ჯერ არ არიან მოწაფენი. ჩვენი დაუღვერობა ყველგან იჩენს თავს.

აი რა გვიამბო ჭიათურის მოსულმა აქ დღეებში: ჭიათურის ფოსტა სწორეთ საყურადღებოა, ღმერთმა ნურავისი წერილები ჩააგდოს იმათ ხელში. მთელი კვირა, ხანდახან ორა კვირაც, უნდება

თფილისიდან საჩხერემდის. სხვათა შორის ერთ მაგალითს მოვიყვან: საჩხერიდან წამოვედი ჭიათურაში 2 მარამობისთვეს, იქ მოვიკითხე ჩემი ფოსტა და მითხრეს არაფერია თქვენს სახელწვო. ჩამოვედი თფილისში და აქ შევიტყე რომ 30 კათათვეს ბანდეროლი გამოეგზავნათ ჩემს სახელობაზე. 9 მარამობისთვეს ისევ დავბრუნდი ჭიათურაში, იქიდან საჩხერეში, ექვებე ბანდეროლი, მაგრამ შენი მტერი, ვერსად ვერ ვაპოვინე, და ბოლოს მხოლოთ 14 მარამობისთვეს ამომიტანეს საჩხერიდან.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ბათომა. დიდხანია რაც ბათომი ბიბლიოთეკას ელოდება. კაი ხანია მას მერეც, რაც ამ ბიბლიოთეკის გახსნის მზადებას შეუდგენ: კაი ხუთი ახალ-ახალი წლები გაგვიძერა ხელიდან ამ „მზადების“ დღიდან. შეადგინეს წესდება, მიართვეს გუბერნატორს დასამტკიცებლათ და გავიეთ, რომ წესდება არ დაამტკიცესო. ცოტა გავიდა დრო და გვესმა: წესდება დაამტკიცესო. გვიამა, გვესიამოვნა და შევიჩრდით. კიდევ გავიდა ხანი თუ არა, მივიხედ-მოვიხედეთ, გვინდა ხალხს წესდების შინაარსი გავაცნოთ და სადღა წესდების კოპია! კოპია არც კი დაუტოვებიათ თურმე. ვაფრინეთ ქუთაისში წერილი წესდების კოპიისთვის. გამოგვიგზავნეს თხოვნის კოპია. გავაქციეთ კიდევ წერილი, მივიღეთ პასუხათ არაფერი. აქ ცოტა შევიჩრდით, დავისვინეთ. ვაფრინეთ ახლა კაცი მივიღეთ წესდება. გასულ გვირას კრება მოახდინეს და ამ წესდების მქლები გააცნეს საზოგადოებას; ბევრმა მოიწადინა და იქვე განაცხადა სურვილი წევრობისა. ახლა კი ყოველივე ეჭვი ბიბლიოთეკის გახსნაზე განზე გადაიდვა და ისინიც კი, ვინც შურიანი თვლებით გამოიყურებოდენ, ახლა რწმუნდებიან, რომ ბათომს მათ გარდა ყოლია კაცები და მათ „ნებადაურთველათ“, მათ დაულოცავთ გაკეთდება თურმე საქმე. მიუხედავთ მათა ლალადისა: ბათომში ბიბლიოთეკა ჯერ ნაადრევიანო, ახლის წლიდან, თუ მანამდე არა, ბათომს ბიბლიოთეკა ექნება და იმ აუარებელ ხალხს, რომელიც ჭკუაგონების საზრდოში მეტის-მეტათ საჭაროებს, მიეცემა საშუალება კვირა-უქმე დღეებში ღვინის მაგიერათ წიგნებით გაერთოს და ისეც თავის გამოფხეკილ ქისას არა დააკლოს რა და გონებას კი შეძინოს. ბიბლიოთეკა, სახალხო იაფ ფასიანი წარმოდგენები, საკვირაო სკოლა არა თუ ნაადრევიან ბათომში, პირიქით, დაგვიანებულიც არის, მარა თუ ამ დრომდის აშეზისთვეს არ უშრომიათ ისე, რომ საქმე დაეგვირგვი-

ნებით, ეს მიტომ რომ არ იყო საკმაო ძალა, რომელსაც ბევრი ხელის შემშლელების გამკლავება და დამარცხება შეეძლებოდა. დიან, ნიადაგი მომზადებულია, ამ ნიადაგზე მყოფთ რომ წყურიათ სწავლა, წყურიათ თავის-თავის შეგნება, ეს ცხადათ დაგვანახა პირველმა სახალხო წარმოდგენამ, რომელსაც იმდენი მუშა ხალხი, დავსწრო, რომ ტყვა არ იყო თეატრში და რომელმაც მეტის მეტათ ასიამონა დამსწრენი. და აქ რომ გამოდგე და იძახო: ბიბლიოთეკა ჯერ ბათუმში საჭირო არ არის, ჯერ აქ ამისთვის ნიადაგი მოუზადებელია, ან უნდა ბრძანდებოდეთ ბრმა, ან ყრუ ან შუთრით გაბერილი: რატომ სხვები უდგინ ამ საქმეს სათავეში და მე არაო. ასეა თუ ისე ამას თავი დავანებოთ, ხელის შემშლელნი, შუთრინები და მათი ამყოლო-დამყოლნი ყველგან ყოფილან და არიან; ეს კი ცხადია საბედნიეროთ, რომ ბათუმს მალე ბიბლიოთეკაც ექნება, საკვირაო სკოლა ხომ აქვს და სახალხო წარმოდგენებიც ახლა უფრო სისტემატიურათ გაიმართება.

ამ თვის 15-ს ბიბლიოთეკის შესახებ კიდევ მოხდება კრება. ამ კრებამ უნდა აირჩიოს ბიბლიოთეკის კომიტეტი, რომელმაც უნდა იწყოს მოქმედება: იზრუნოს ბიბლიოთეკია შესანახავ წყაროების გამოსაძებნათ, უნდა მართოს წარმოდგენები, აგროვოს შეწირულებანი, მოუპოვოს ბიბლიოთეკას წევრები და სხ. ამ კრების ანგარიშს ვაუწყებთ მკითხველებს.

X.

ს. სუტუბი. (ოზურგეთის მაზრა) ს. სუტუბი ძრიელ მთა-გორებიანი ადგილია. აქ ხშირათ შეხვედებით ტყეებს და საყანე მიწებს, სადაც ადამიანს სიარული უძნელდება; შუა სოფელში ჩამორბის მდ. სუბსა, რომელიც გამოდის ბევის მთიდან. ამ მდინარეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს მცხოვრებლებისთვის, რადგანაც ნაპირები კლდიანი და გაუვალია, მოსარწყავათ გაყვანას ვინ გაუბედავს. თითქმის საწისქვილე ადგილებიც ძვირია; ცოტა თუ ბევრი სარგებლობა მოაქვს მეთევზეებისათვის; აქ ბევრი იშოვება სხვა და სხვა ჯიშის თევზები, მაგალითათ: კალმახი, წვერა, ორაგული, ქაშაზი და სხვ.

ნიადაგი ყველა მცენარეებისთვის კარგია. საწინაი მიწები ცოტა არის; მცხოვრებლები იძულებული არიან, რაც ოჯახს და გადასახადს დააკმაყოფილებს, თხინთ მოიძუშაონ. ძალიან გაძნელებულია მოტანა ნამუშაურის. მხოლოთ ცხენებით შეიძლება მოიტანა, მაგრამ ცხენის ყოლას სიმდიდრე უნდა და ეს სიმდიდრე ბევრს აკლია, ამიტომ იძულებულნი ხდებიან მომუშავებული მოზილან ზურგით, თავი და თავი მე-

ცადინეობა მცხოვრებლებისა არის: მეთუთუნეობა, ხენა-თესვა, მევენახეობა, აქა-იქ მებარეშუმეობა და მეფუტკრეობა. 1) თესვენ უმეტეს ნაწილათ: სიმინდს, ლომს, ლობიოს კარტოფილს და სხ. ჰურის თესვის ხსენებაც არ არის. ყველა ზემოთ ხსენებულ მცენარებს დიდ-ძალი შემოსავალი შემოაქვს. გარდა ამისა აშენებენ მამულს 2). იმათი მამული შედგება ვენახიდან, მსხლიდან, ვაშლიდან, ნიგეზიდან, თხილიდან და სხვა მცენარეებიდან. მევენახეობას თუშცა მისდევნენ, მაგრამ ვერ არიან პრაქტიკულათ დახელოვნებულნი; აშენებენ ორი ჯიშის ვაზს: თიგლსა და შავს ადესას (იზაბელა), რომელსაც დიდ ძალი შემოსავალი მოაქვს, მაგრამ დაბალი, გლახა ხარ-სხის გამო იათ ფასათ იყიდება, ასე რომ აქაური საპალნე ე. ი. ათი ფუთი ლენო ღირს 5 მ.-გან 12-დის, ხოლო ამავე ჯიშის ლენოს გადაღულებუოს ჰყიდიან 15 მ. დან 20—დის. ვაზებს აქ აშენებენ უზარ-მაზარ ხეებზე. ძველათ აქ თურმე დიდ ძალი შემოსავალი შემოჰქონდა ტყვან დიდს, ჩხავერს და სხვა კარ ჯიშის ვაზებს, მაგრამ ახლა სხვა და სხვა მიზეზებისა და უწამლობის გამო ყველა ეს მოსპობილია. დაბლობი ვენახისა აქ ხსენებაც არ არის, რომელსაც შეუძლიან კარგი მიჯლით დიდ ძალი შემოსავალი შემოიტანოს. უმთავრეს მცვალინეობას მცხოვრებლებისას შეადგენს მეთუთუნეობა. აქ იმისთანა გლეხს ვერ შეხვდები, რომ ათი ფუთიდან ორმოც ფუთამდის თუთუნი არ მოიყვანოს წელიწადში. როგორც მოგვხსენებათ, თუთუნს ბევრი მუშაობა უნდა და მთელ ამდენ მუშაობას და შრომას ქალები და ბავშვები კისრულობენ და ბოლოს ამდენ შრომას, თითქმის წყალში ჰყრიან! ამავე სოფლის ვაჭრები ყიდულობენ თუთუნს ნახევარ ფასათ და იმასაც არ აძლევენ თავის დროზე. ან კი როგორ უნდა მისცენ თავის დროზე, როცა თვითონ ილუპებიან უცოდინარობის და გამოუცდელობის გამო. ყიდულობენ ნისათ თუთუნს ას ფუთობით, ვითომ აწყობენ, მიაქვთ ახლო-მანლო ქალაქებში; იქ დიდ ხანს ვერ ჰყიდიან და თუთუნი მოუფლელობ ს გამო ღებება და გადასაყარ ადგილსაც ვეღარ შოულობენ. მოდიან ხელ ცარიელები და ან უარს ეუბნებიან თუთუნის პატრონებს და ან ნახევარ ფასს აძლევენ. საწყალი გლეხი, რომელსაც მთელი იმედი თუთუნზე ჰქონდა დამყარებული და თუთუნის ფასით აპირებდა ყაველი მოთხოვნელების დაკმა-

1) მებარეშუმეობას ამ პოლს დროს უფრო მოჭკადეს სედი.  
 2) მამულს მცხოვრებლები ეძახიან ახლო მასლო გამეხებულ ბადებს, რომელშიც არის ყოველ გვარს სენილი და გენასი.

ყოფილებას ის, იძულებულია ფული ისესხოს, 24 პროცენტი აძლიოს და ისე გადაიხადოს ვალი. ფულის სესხების დროს რომ შეხედე გლენ-კაცს და ჰკითხო, რითი აპირებ ვალის გასტუმრებასო, ის იმ წამსვე მოგიგებს: „ვაკეთებ თუთუნს, გავყიდი და გავისტუმრებო“. იმას კი არ ფიქრობს რა შედეგი მოეღოს. შარშან ე. ი. 1898 წ. ძლიერ ნაკლები მოსავალი იყო სურებში. ავი დარების გამო ყანები გაფუჭდა, რისთვისაც ამ წელს მოსახლე კაცს ვერ ნახავ, რომ სიმინდი არ აკლდეს. ასე რომ ფუთ სიმინდის ფასმა აიწია 70 კ—დის. ხშირი ტყეები, რომლებიც ბევრი იყო ს. სურებში სულ საყანე მიწებათ აქციეს, რამაც გამოიწვია წვიმების დროს ნიაღვრები და რომელსაც მიაქვს ფერდობებიდან მდინარეში დამუშავებული მიწის სინოყიერე. აქ არ იციან მცენარების რიგ-რიგათ თესვა; ერთ და იმავე მცენარეს თესვენ რამდენსამე წელიწადს, რომელიც ძლიერ ართმევს სინოყიერეს მიწას. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ნა — ლი.

### კვირიდან კვირამდე

წარსული საყარაულო — სკრთო უთაურება — რაღ მოგივა დაკითხა... — Баща рѣкъ... — სკამეთი.

ეს ჩვენი „კვირიდან კვირამდე“ კაი ხანია დაიკარგა, მას მოწყინდა იმდენი დავიდარება და სადღაც მიიმალა, მიყუჩდა და აგერ თვეზე მეტია კრინტიც არ დაუძრავს. მან ერთობ ძალიან ბევრი გადაიმტერა, მისი მწარე ენა ბევრს ლახვარივით ესობოდა, ბევრი დრტვინავდა, ილანძღებოდა და „კვირიდან კვირამდეს“ განდევნას თხოულობდა. და ამ დღეილმაც განიზრახა: მოდი ერთი იმათ გავახარებ, დავიმაღლები, აღარ გამოვჩნდები, ვითომ სამუდამოთ ვაფიქვციო, და ის იყო, წავიდა და წავიდა. ის დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელს და ქვეყნიერებას უყურებდა: აბა უჩემობას როგორ შეიშვენებენო. მტრები ამტკიცებდნენ: ჩვენი მყუდროების ამრევი სწორეთ ის არის და თუ ის ერთხელ თავიდან მოვიცილებთ მშვიდობა და სათნოება ზეცით მოგვევლინებაო. და წარმოიდგინეთ, ყველა ეს უბრალო თავის მოტყუილება ყოფილა. სწორეთ მაშინ აირ-დაირია მონასტერი, როცა „კვირიდან კვირამდე“ საყარაულოში აღარ იყო, უეჭველია დრო უბოვეს და აიწყვიტეს. გაიმართა ერთი პოლემიკა, ატყდა აურ-ზაური, თავის მტრევა და ეაიუშველებელი. ვისაც ორი ანბანი კი უსწავლია, ყველამ კალამს მოჰკიდა ხელი


და რედაქციაში ქალაღი აურინა: გააგებიეთ ქვეყანას, რომ ამ წუთისოფელში მეც ვარსებობო. მედუქნე გალიტერატორებულა და ლიტერატორი გამედუქნებულა. „ნასტავლინი“ სასირაჯოში იყრიან თავს და მედენისაგან ბრძანებას ღებულობენ..

\* \*

ბევრი ითმინა ეს „კვირიდან კვირამდე“, ბევრი უთვალთვალა შორიდან, ეგების უთაურობა თავისით მოისპოსო, მარა ამაოთ. ბოლოს ვეღარ გაუძლო ამ სანახაობას და ოთხფეხიანი რაშით თავის ალაგას გამოქანდა, აქ გახლავარო! მაშ ვახსენოთ ღმერთი ჩვენი და შეეუდგეთ საქმესა ჩვენსა. და მერე არ იკითხავთ რამდენი საქმეა? ამას სათვალავი არ აქვს. ჯერ ერთი ძველ-ძველი საქმეებიც კი აავსებს ორ-სამ არხივს; ამ ორ თვეს რომ ნავავი მოგროვილა, იმის გამოგვასაც კი მოუწდება კაცი ორ წელიწადს. ახლა სულ ახალ-ახალი ამბებიც ვიანგარიშოთ—ესეც დიდ ალაგს ღაიჭერს. და ყველა ეს ერთმანეთში დომხალივით არეულა, მოდი და გაიგე, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ერთათ რომ ხელი მოვღვდეთ ნამეტანი ბევრი მოვა, თითო-თითო რომ გამოვაძროთ ნამეტანი ცოტა იქნება. მაშ ისევ შევარჩიოთ, უღირს გვერდით აეუაროთ, წვრილმანს თავზე გადავახტეთ და საყურადღებო წინ გამოვაგდოთ.

\* \*

წლიდანღელ სიცხე-პაპანაქებას ყველაზე უფრო სოხუმისთვის უწყენია. იმას ერთი ახირებული თავი მოვლინებია და სოხუმელთაც ახირებულათ სჯის. ეს ის თავი კი არ არის, რომელიც თვითონ აირჩივს, არამედ ის რომელიც გააშავეს და, რალაც მანქანებით, ბოლოს მაინც გათეთრებული გამოვიდა. ეს სასწაულება სულ უკანასკნელი ფორმაციის არის და მის შეზავებ-შემუშავებაში მხურვალე მონაწილეობაც მივიღეთ. არ გაიკვიროთ კი და ეს ასეა. აბა მოიგონეთ ის გაუთვებელი ჯვაროსანთა ომი, რომელიც აგერ ეს ორი წელიწადია ჩვენ გაზეთებში ატეხილა. მუშტი მაგათო, დავიგრიალეთ, სხვის ბრძანებით რასაკვირველია, და ნაცემი კი ისევ ჩვენ დაერჩით. სხვისკენ გაშვერილია მუშტის ყველამ ჩვენ კისერზე გადაიარა. და თავს კი მაინც ვატყუილებთ, მოწინააღმდეგეთ ეურტყამთო. ჰოი, გულუბრყვილობავ! აი სწორეთ ამას ჰქვია შორს—მჭკრეტელობა ქართველური! ცხვირ წინ იყო თურმე თხრილი და ჩვენ კი განგებ შორს გვატყერიებდენ, წინ არ დიხედოსო. და მოგვცათ სიცოცხლე, შიგ ჩავკევიდით, ჯერ სოხუმი ჩავარდა, მერე ბათომს და სხვა ქალაქებსაც მოუწვეს თავისი ჯერი.. რაც მოგივა დავითო ყველა შენი დაეითაო!






\* \*

სოხუმლებსაც ასე მოუვიდათ. მათი ძალათ მაცხონე თავი ხმოსნებმა ხომ გააშაფეს, მარა როგორც კი ძალათ მაცხონეთ გადაიქცა, მის წინ მუხლი მოიდრიკეს და ბალიადას უგალობენ. ხარი-ხართან დაბი ან ზნეს იცვლის ან ფერსაო—ნათქვამია. თავის ძალათ მაცხონეობა ხმოსნებსაც გადადებია და ესენიც სხვისი თავის წინამძღოლობით (თავისი ხომ აღარ აქვთ და აღარა) სოხუმის ძალათ ცხონებას შედგომიან. ეთქვათ თავმა მოითხოვა: საბჭოს დარბაზი საჩივრით გადაეპქიოთ და ბჭობის მაგიერ ჩაივსვათო, ხმოსნები, მაშინვე ზეზე წამოცვივიან და დიდის მოწიწებით მოახსენებენ: „Ваша рѣчь истина святая, умнѣея мы ничего не слышали“-ო და კმაყოფილებით აღსაესე ბ. თავს შეჰყურებენ აბა რას გვიბრძანებსო. ისიც თითით აჩვენებს, შევიძლიათ დაჯდეთო და განარებული ხმოსნებიც ჯდებიან. ეთქვათ წარმოდგა ბ. თავი და განაცხადა: მე დავიქირავე უხელო მწერალი, საქმე ბევრი არა გვაქვს, გთხოვთ ამას 500 მ. მაინც დაფურინოთ წელიწადშიო. ხმოსნებიც ერთათ წარმოდგებიან და თავჩაქინდრული ერთ ხმათ შესძახებენ: Ваша рѣчь истина святая და სხ. და იმავე ბრძანებით და რევერანსით თავის ალაგას ჯდებიან. ეთქვათ ამ ძალათ თავმა უტყვებ წამოიძახა: მე ბევრი საწყალი ნაცნობები და ნათესავები მყავს, (თქვენც ხომ საწყლების მომხრე ხართ), იმათ სამსახური მივეცი, ზოგისთვის თანამდებობა აღარ ამითავე და ახლა გთხოვთ ახალი ადგილები შეექნათ და ჯამაგირებაც ხეირიანი გავუჩინოთ იმ საცოდავებსო. ძალათ ხმოსნები მაშინვე წამოცვივიან და ერთ ხმათ (ახლა სიმღერით) მოიხსენებენ: Ваша рѣчь истина святая... და ბოლოს მუხლ მოხრილათ ემშვიდობებიან და კარებთან სიმღერას შემოძახებენ: Ваша рѣчь! Ваша рѣчь!.. და ასე აღფრთოვანებული თავ თავის სახლში მიისწრაფიან. ახლა ერთი მითხარით, ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!

\* \*

მარა ვერაფერი ბედნიერება ყოფილა უადგილობაც. სული ტკბილია, ყველა თავთავის კუნჭულს ეძებს, ყველა თავთავის ბუდეს იჩენს. ამ ქამათ თვლისი ორნაირი ხალხით ავსებულა: უსწავლელი ეძებს სწავლის ადგილს, ხოლო ნასწავლი ჭამის ადგილს. გაჰორდის რომ კაცი სწავლობს ადგილისათვის და ბოლოს ადგილის შოენაც ჭირდება. ერთი ასეთი ადგილის მოძებარი ამას წინეთ მეუბნებოდა: ახლა თვალწინ სულ ჩინოენიკი მიდგასო. ოღონდაც, რომ უღვას. მაშ ამდენი მეცნიერება ტყუილა შეისწავლა,

რომ ერთი მოხელის თანამდებობაც ვერ იშოვნოს. მოსწავლის გაგრძელება მოხელე ყოფილა, სკოლის — კანცელარია. გაათავეთ ერთი კლასი, ოარი, ხუთი, ათი, თუ გნებავთ, თუთხმეტიც, ეს სულ დასაწყისია, ძირია, ხოლო სწავლის ძირი, როგორც იცით, მწარეა, სამაგიეროთ კენწოროში გატკბილდების. და მერე იცით, სად ყოფილა ეს კენწორო? სად და საჩინეთში და საჭამეთში. მაშ ისევ აქვთ, ქვეყნის იმედნო!..



მ ე გ ო ბ ა რ ი.


ანთელით ვკესნე მეგობარი,  
 უტუჟანი, შირ-უთუნელი  
 და ვინც ვნსე, ვგელა ფელიდი,  
 ვგელა უნდო, ვგელა გელი.  
 ეს! რა რიგათ თსე-უფლობა  
 ჩემი გული მეგობარს!  
 ვერ ითმენდა მარტობას,  
 ვერ იტანდა რაფლობას.

და რას ვითომ მეგობრებს  
 სამეგობროთ მამცეს სელი,  
 და რას თითო იმათგანმა  
 თითო წვეთი შსამ ნაღველი  
 მომწოდა—კი დავწმუნდი  
 რა ყოფილა მეგობრობა...  
 ისეკ ყოფნა უმეგობროთ,  
 ისეკ მეგობრ მარტობა...  
 მარა ცოტა განსწავებით:  
 ახლანდელი იმ ვერ წმენით,  
 რომ ვერ ნასეკ მეგობარს  
 შირ-უთუნელს და გულით წრფელით...

გ. გოგოლაძე.

დ რ ე ი ფ თ ს ი ს ს ა ქ მ ე.

დ რ ე ი ფ თ ს ი ს ს ა ქ მ ე.  
 რეიფუსი გამტყუნეს! რენის ხუთსა აფიცრმა  
 წინააღმდეგ ორისა დაადგინა: დრეიფუსი დამნაშავეა,  
 მარა ზოგიერთ შემამსუბუქებელ კარემობათა გამო  
 სასჯელი შემსუბუქებული უნდა იყოსო. და ეს შემსუ-



ბუქება მდგომარეობს იმაში, რომ ათი წლის საპრო-  
ბილე გადაუწყვიტეს. ე. ი. ისევე ეშმაკის კუნძულზე არ  
დაბრუნეს. რას ნიშნავს ეს შემამსუბუქებელი გარე-  
მოება? ღრეფუსი ან მოლალატეა ან არა. ან გასცა  
სამშობლო ან არა. პირველ შემთხვევაში მას ერგება  
უმალესი სასჯელი, მეორე შემთხვევაში სრული თავი-  
სუფლება. ამათ შორის გაჩერება ყოველად შეუძლებე-  
ლია, სანახევროთ მოლალატეობა წარმოუდგენელია.  
ღ აი, რენის სასამართლო კი სწორეთ ამ შუა გზაზე გაჩ-  
რდა, ეს წარმოუდგენელი წარმოიდგინა ღ სურს სხვებსაც  
წარმოადგენოს. ის ამბობს: ღრეფუსი მოლალატეა,  
მარა არც იმდენიო! და განა შეიძლება ღალატის  
ასეთ სასწორეზე გატანა და მისხლობით აწონვა?  
ორში ერთია: ღრეფუსი ან დამნაშავეა ან არა, და  
როცა მხედრები შემამსუბუქებელ გარემოებას აღიარ-  
ებენ, ამათ ღრეფუსის დანაშაულობაში თვითონ  
შეაქვთ ეჭვი. რენის სასამართლოს ორი კითხვა ჰქონ-  
და დაყენებული: ღრეფუსმა დასწერა ბორდერო?  
ღრეფუსმა გასცა ბორდეროში ჩამოთვლილი დო-  
კუმენტები? სასამართლოს განაჩენში პირველ კითხ-  
ვაზე არა არისრა ნათქვამი, ის ცნობს ღრეფუსს დამ-  
ნაშავეთ მეორე კითხვაში, იმან გასცა ბორდეროში  
ანუსხული ქაღალდებიო. მაშასადამე ბორდერო ღრე-  
ფუსის ნაწარმოებათ ვერ სცნეს, გამოდის, რომ ის ბო-  
რდერო ღრეფუსის არ არის, ღრეფუსს ჩაუდენია  
მხოლოთ ის, რაც ბორდეროშია ჩამოთვლილი. მაგრამ  
ბორდეროში ნათქვამია „je vous adresse“ — მე თქვენ  
გიგზავნიო. ცხადია, დამწერი უგზავნიდა ვილაცას იმ  
ქაღალდებს, რაც იქ არის ჩამოთვლილი. ღრეფუსს  
არ დაუწერია ბორდერო, მაშასადამე არც გაუგზავნია  
ქაღალდები. რენის სასამართლოს რწამს პირველი, არ  
რწამს მეორე. რა საბუთის, რა მოსაზრების ძალით? და  
აი სწორეთ ფონი აქ ახრჩობს. საქმე იმაშია, რომ სამხე-  
დრო სასამართლო, როგორც ნაფიცთა სასამართლო,  
თავის განჩინების მოტივებს არ აღგენს და სჯის მხო-  
ლოთ თანახმათ თავისი შინაგანი დარწმუნებისა.  
ის ამბობს „ჰო“, „არას“, მხოლოთ რატომ „ჰო“  
არის და არა არა — ამას სრულებით არ ხსნის. ერთი  
სიტყვით, იმას როგორი რწმენაც გამოაქვს საქმის  
გარჩევიდან, ისე სჯის და ამაში არავის წინაშე პა-  
სუხის მგებელი არ არის. არავის არ შეუძლია გაი-  
გოს რატომ ასე გაასამართლა და არა ისე, ეინაიდან  
ეს მიზეზები მოსამართლეთა საიდუმლოებას შეად-

გენს. და მერე რა რწმენა უნდა გამოეტანათ საქმის  
გარჩევიდან? წარმოიდგინეთ აფიცრები მოსამართლენი  
და ღენერლები ბრალმდებლები. ესენი იმათ ევიცე-  
ბიან ღრეფუსი დამნაშავეაო. ამას ამბობს ღენერალი  
მერსიე, ღენერალი ბილიო, ღენერალი შანუანი,  
როქე - სულ ღენერალი და ღენერალი. ასეთ ბუმბე-  
რაზების წინაშე რა ქმნან მათმა ხელქვეითმა აფიცრებ-  
მა? და რატომ 7 აფიცრისაკან, თუნდაც ისინი მო-  
სამართლენი იყვენ, უფრო მეტი უნდა მოვითხოვოთ,  
ენემ 7 ღენერლისაკან? უფროსები არწმუნებენ უნც-  
როსებს — ეს ასეაო და ესენიც რწმუნდებიან. რატომ  
არს ასე ამას უფროსები ვერ ამტკიცებენ და ამი-  
სათვის, არც უნცროსებმა იციან. და ეს არც კია  
საჭირო განაჩენისათვის. ამნაირათ, რენის აფიცრები  
ღენერლებმა დაარწმუნეს ღრეფუსი მოლალატეაო,  
მარა ეს დარწმუნება ვერაფრით ვერ დაასაბუთეს. ამან  
კი ეჭვი აღუძრა მოსამართლეებს — ეგებ ის არ არის  
მოლალატეო. სასწორის ერთ მხარეს დევს ღენერლე-  
ბის პატიოსანი სიტყვა, მეორე მხარეს კი უსაბუთო-  
ბა. და აი აფიცრებმა მოინდომეს უფროსთა პატივის  
ცემაც და საზოგადოებასთანაც ანკარიშის გაწევა.  
ე. ი. საჭირო შეიქნა ეს ორი სხვა და სხვა მხარის  
ქერიგება და მით ყველას დაკმაყოფილება. ღენერ-  
ლებს პატივი სცეს იმით, რომ ღრეფუსი დამნაშა-  
ვეთ აღიარეს, საზოგადოებას ანკარიში გაუწიეს იმით,  
რომ შემამსუბუქებელი გარემოება იცნეს. პირველი  
ათქმევინა უფროსთა „პატიოსანმა სიტყვამ“, მეორე  
ათქმევინა უფროსთა უსაბუთობამ. ამით ვითომ მო-  
რიგა ორივე მხარე, ვითომ ბურთი ჩაუდო პირში  
ორივე პარტიას, მარა ნამდვილათ კი ეს სრული  
დამარცხებაა სამხედრო პარტიის და გამარჯვება სა-  
მოქალაქოსი. ღრეფუსის დანაშაულობაში დაეჭვდა  
თვით სასამართლო და მით დაეჭვდა შტაბის „პატიო-  
სან სიტყვაში“.

ერთი სიტყვით, რენის სასამართლომ მოინდო-  
მა ისეთი განჩინება გამოეტანა, რომელიც მებრძოლ  
პარტიებს დაშოშმინებდა, პოლიტიკურ განხეთქილე-  
ბას შეასუსტებდა. ამიტომ, რენის განჩინება უნდა აღ-  
ღვიაროთ მხოლოთ პოლიტიკურ განჩინებათ. და მით  
მართლმსაჯულება კიდევ ერთხელ შეეწირა პო-  
ლიტიკას...



### ნაფიც მსაჯულთა სამართალი.

X (შეძლება \*)

წვენი კანონმდებლობით ნაფიცი მსაჯულები შეადგენენ საზოგადო, წოდებრივ ხასიათს მოკლებულ დაწესებულებას. ამ თანამდებობის ასასრულებლათ მოიწვევენ ყველას, ვინც კანონის\* მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მიუხედავად წოდებისა. კანონის მოთხოვნილება კი მდგომარეობს შემდეგში.

I. საზოგადო შიკრება 1), ფიზიკური: წლოვანებით არა ნაკლებ 25 და არა უხუცესი 70 წლისა; საღი ე. ი. ისეთი ფიზიკური ნაკლი არ უნდა ჰქონდეს, რომელიც შეუშლის საქმის ასრულებას (მაგ. არ უნდა იყოს ბრმა, ყრუ). 2), ზნეობრივი: არ უნდა ყოფილიყოს პასუხის გებაში, ან სამსახურიდან დათხოვნილი, პატივ ახდილი და სხვ. 3), სოციალური: უნდა იყოს რუსის ქვეშევრდომი და სხვ.

II. განსაკუთრებული ანუ სპეციალური შიკრება. კაცი რომ ნაფიც მსაჯულათ მოჰყვეს საქირთა იგი იყოს: 1) ადგილობრივი მცხოვრები ე. ი. ცხოვრებდეს არა ნაკლებ ორი წლისა იმ მაზრაში ანუ ქალაქში, საცა არჩევა ხდება; 2), უნდა იყოს რუსული ენის და წერა-კითხვის მცოდნე, რადგან სამართალი ამ, სახელმწიფო, ენაზე წარმოებს. წერა-კითხვა, მხოლოდ იმდენი რომ ხელის მოწერა შეეძლოს. 3), ნაფიცი მსაჯული ან კერძო საკუთრების (უძრავი ქონების) მქონებელი უნდა იყოს არა ნაკლებ 1/20 იმ ცენზისა, რომელიც საქირთა ერობის ხმონისათვის, და რადგან ეს სხვა-და-სხვა მაზრაში 200 დესეტინას უახლოვდება, გამოდის დაახლოვებით 10 დესეტინა 1) —ჩვენებური ზომით 27 ქცევა (დღიური). ეს მაზრებში, ქალაქებში კი, სატახტოში (პეტერბურგი და მოსკოვი)—2,000 მანეთის, დიდ ქალაქებში (არა ნაკლებ 100,000 მცხოვრებ.)—1000 მან. და დანარჩენში — 500 მან. საკუთრება. გარდა უძრავი ქონებისა წლიური შემოსავალიც მიიღება: სატახტო ქალაქებში—1000 მან., დიდ ქალაქებში—600 მან. და დანარჩენში—400 მან. ცენზი არ ჰქონდათ გლეხებს,

რომელთაც უმსახურიან სოფლის საზოგადოებაში მამასახლისათ, მოსამართლეთ და სხვა ამაგვარ თანამდებობაზე, აგრეთვე ეკლესიის მნათეთ (староста) და ერობის ხმონათ.

ნაფიც მსაჯულებათ არ შეიძლება იყვნენ: სამღვდლოება, პირველი ოთხი კლასის მოხელეები (чиновники первых четырех классов), სასამართლოს მოხელეები, (გარდა საპატიო მსაჯულებისა), პროკურორი და მათთან მოსამსახურე მოხელენი, პოლიციის მოხელე საზოგადოთ; სამხედრო პირები, რომლებიც სამსახურში არიან; სახალხო, სამრევლო და ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები; კარანტინის მოსამსახურენი და ხელზე მოსამსახურე (домашняя прислуга).

ნაფიც-მსაჯულთა არჩევა ხდება ამ ნაირათ: ჯერ შედგება საზოგადო სია, რომელშიაც შევა ყველა ვინც ზევით ჩამოთვლილ პირობებს აკმაყოფილებს. ამ სიას ადგენს მესაკუთრეებისათვის მაზრებში ერობის გამგეობის თავმჯდომარე, ქალაქებში — ქალაქის მოურავი, სხვებისას პოლიცია და „земский начальник“. ეს საზოგადო სია ედება სარჩულათ ანუ საფუძვლათ ყველა დანარჩენ სიებს. იგი გადაეცემა კომისიას, რომელმაც მისი მიხედვით უნდა შეადგინოს წლიური და მოწივი სიები. პირველში შეაქვთ ყველა, ვინც ამ წელს იქნება მოწვეული ნაფიც მსაჯულათ, მეორე ანაწილებს ამ სიას ხანებათ: ვინ რა დროს იქნება მოწვეული. ამ სიების შედგენაში კომისისა დამოუკიდებელია, მას შეუძლია და ვალდებულიც არის მიიღოს მხედველობაში ზნეობრივი მხარე მოქალაქისა, და ამის-და მიხედვით სიაში ან შეიტანოს ან არა. თვით ეს კომისია შედგება ყველა ზემსკი ნაჩალნიკებისაგან, ოლქის სასამართლოს წევრისაგან, ქალაქის მოსამართლეებისაგან; პოლიციის წარმომადგენელი, პროკურორი და სამიც ერობის წარმომადგენლისაგან; თავმჯდომარეობს თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

ამათგან დანაწილებული და ხანებათ დაყოფილი სია გადაეცემა სასამართლოს, რომელიც პროკურორის თანადასწრებით საჯარო სხდომაზე შეადგენს ნამსახურებთა სიას (служебный список). უკანასკნელი საქმის გარჩევის წინ სიას წარუდგენენ მხარეებს (პროკურორს და ბრალდებულს) და თითოეულ ამათგანს შეუძლიან მიხეზის განუმარტებლათ სამ-სამი მსაჯუ-

\*) ის. „კვალი“ № 32.

1) სწორეთ ეს ზომა მიღებული იმ გუბერნიებისათვის, საცა კრებს არაა შემოღებული.

ლის გადაყენება. თვით მსაჯულებსაც შეუძლია-  
ბოგონ თავისი გადაყენება, თუ სასამართლომ შე-  
ათ ითიწყინარა. შემდეგ ამისა, წილის ყრით ამო-  
ირჩევა თორმეტი კაცი (ორიც მათი კანდიდატები)  
და ესენი არჩევენ საქმეს. ამ წამიდან ნაფიცო  
მსაჯული აღჭურვილია ყველა იმ უფლება-  
მოვალეობით, რომელიც სახელმწიფო მოსამა-  
რთლეს აქვს მიკუთვნებული; იგიც თანამდებო-  
ბის აღმასრულებელ პირათ ითვლება და ისეთი ხელ  
შეუხებელია, როგორც მეორე. ერთი სიტყვით, ის  
აღარაფრით განსხვავდება სახელმწიფო მოსამართლი-  
საგან, გარდა ერთისა: უკანასკნელი მოვალეა თავისი  
განჩინება ყოველთვის დასაბუთოს წერილობით, ნა-  
ფიცო მსაჯული კი ამ მოთხოვნებიდან თავისუ-  
ფალია, არაერთარი მოტივირაცა არაა საქირო.

ნაფიც მსაჯულნი და სახელმწიფო სასა-  
მართლო (ესეც კოლლეგიურათ სამი კაცისაგან  
შემდგარი) მხარ და მხარ მოქმედებენ და ორივე გრ-  
თათ ერთ მთელს წარმოადგენენ საქმის განხილვის  
დროს, და მხოლოდ განჩინების დადგენის დროს და-  
იყოფიან. პირველი წყვეტს კითხვას დამნაშავეა თუ  
არა ბრალდებული, და თუ დამნაშავეა, ღირსია თუ  
არა შებრალეების (შეღავათის). მხოლოდ ამებზე პა-  
სუხს შემდეგ, სახელმწიფო მოსამართლეთა კოლლე-  
გია წყვეტს შესაფერ სასჯელს. სასჯელის დანიშნე-  
ნის შესახებ ნაფიც მსაჯულებს, გარდა ზემორე აღ-  
ნიშნულისა, არაფერი ეკითხებათ.

უფრო დაწვრილებით ამ ორგანიზაციის განხილ-  
ვას აღარ შეეუდგებით, თორემ შორს წაგვიყვანს.

რაც შეეხება კომპეტენციას, ე. ი. იმას თუ რა  
საქმეებს არჩევენ ნაფიცო მსაჯულები, უნდა ვთქვათ,  
რომ იგი შემცირებულია შედარებით პირველ ხანას-  
თან. წინეთ, ყველა სისხლის სამართლის საქმეები,  
საცა სასჯელი უფლებათა შეკვეცას ანუ ჩამორთმე-  
ვას უქადიდა ბრალდებულს, ყველა ესენი ნაფიც  
მსაჯულებს უნდა გაერჩიათ, დღეს კი მარტო ისეთი 1)


საზოგადო დანაშაული გადადის ამათ ხელში, რომელ-  
თათვის დამნაშავეს მოგლის ყოველივე ღირსებების,  
ან ყოველი განსაკუთრებული პირადათ და მდგომა-  
რეობით მიკუთვნებულ ღირსებათა ახდა. მეტათ ვიწრო  
ფარგალშია მომწყედებული ნაფიც მსაჯულების სამარ-  
თალი. ამ კატეგორიის საქმეებდანაც უნდა გამორი-  
ცხათ ისეთი საქმეები, რომელიც სამსახურის ასრუ-  
ლების დროს არის ჩადენილი და ბევრი სხვა, რომ-  
მელთაგან ზოგი წოდებათა წარმომადგენლების სა-  
სამართლოს გადაეცა (პალატასთან) და ზოგიც ილ-  
ქის სასამართლოებს.

ნაფიც მსაჯულთა უპირატესობა სახელმწიფო  
მსაჯულებთან შედარებით მდგომარეობს შემდეგში:

1) კანონმდებლობის მაშინა მეტათ ზანტი, უძრა-  
ვია; ის ვერ უსწრებს ცხოვრების განვითარებას, რომ-  
ლის თანაბრათ იცვლება თვით ერის შეხედულება  
სხვა-და-სხვა დანაშაულის შესახებ. მეტათ ზოგადი ხა-  
სიათი უნდა მიიღოს მოვლენამ, რომ იგი შემჩნეულ  
იქნეს კანონმდებლობისაგან და კოდექსში შეტანი-  
ლი. ამიტომ შესაძლებელია კანონი და საზოგადო  
აზრი დაშორდენ და კიდეც ეწინააღმდეგებოდენ ერ-  
თმანეთს; შესაძლებელია, კანონი ძველი შეხედულებ-  
ების მიხედვით მეტათ მკაცრათ სჯიდეს ადამიანს და-  
ნაშაულისათვის. აი ასეთ შემთხვევაში ერთათ ერთი  
ნაფიცთა სამართალია, რომ ხალხის შეცვლილ შეხე-  
დულობას, კაცთ-მოყვარეობას და სენილისს მართ-  
ლათ აღბეჭდავს. მოხელე-მოსამართლე, რაც უნდა  
იყოს, ყოველთვის სპეციალისტია, და ისე თავისუ-  
ფალი არ არის კანონის ზეგავლენისაგან, როგორც  
უბრალო წევრი საზოგადოებისა.

II. ხელობით-მოსამართლე ქვევა თავის საქმეს,  
კოტა არ იყოს გულიც უჩუუნველბა; ამ მიხვევს  
შემდეგ ის იმდენ მნიშვნელობას არ აძლევს ადამი-  
ნის დასჯას, ვერ უკვრდება ყოველ საქმეს, რო-  
გორც საქიროა, და ხშირათ შეიძლება მკაცრი სას-  
ჯელი მიუსაჯოს დაუმსახურებლათ. სულ სხვაა უბრა-  
ლო მოქალაქე, რომელსაც მთელ თავის სი-  
ცოცხლეში სულ რამდენიმე საქმის გარჩევა შეხედ-  
ბა; ის უფრო უკვირდება საქმეს, მეტი ყურადღებით  
ეკადება ადამიანს (დამნაშავეს), უფრო პასუხის მცე-  
ბელათ თვლის თავის თავს სინილისს, საზოგადოების  
წინ და ამიტომ უფრო ღმობიერი და მოწყალეა;

1) Ст. 201 уст. угол. суд. Дѣло о преступленіяхъ или проступкахъ, за которые въ законѣ положены наказанія, соединенныя съ лишеніемъ всѣхъ правъ составлія или всѣхъ, лично, и по состоянію присвоенныхъ, правъ и преимуществъ вѣдаются окружнымъ судомъ съ при- сяжными засѣдателями“.



თუმცა ზოგჯერ უფრო სასტიკიც, საცა ეს მართლა საჭიროა; მეტ ყურადღებას აქცევს დამნაშავეის ცხოვრებას და გარემოებას, რომელშიაც დანაშაულია ჩადენილი.

III. თვითონ ბრალდებული მეტი ნდობით არის გამსჭვალული თავისი მოძმე მოსამართლესადმი, ვიდრე მოხელესადმი; უკანასკნელში ასეა თუ ისე, ის ყოველთვის გარეშეს, უფროსს ხედავს, რომელსაც მისი ბედ-იღბალი ძალიან ნაკლებათ აინტერესებს. ნაფიცი მსაჯული კი ისეთივე უბრალო კაცია, როგორც დამნაშავე, ისეთსავე პირობებში ტრიალებს; როგორც ის, უფრო ახლოს არის ცხოვრებასთან და ამიტომ მეტ ნდობას პოულობს დამნაშავე-ბრალდებულში.

ასეთი თვისებების ჩამოთვლით ჩვენ შეგვიძლია მთელი რეეული გავესოთ, მარა ამ ქამათ ესეც საკმაოთ მიგვაჩნია. ოღონდ საჭიროა აქვე აღნიშნოთ ამ დაწესებულების პედაგოგიური (აღმზრდელითი) მნიშვნელობა. ის ხალხში ამტკიცებს კანონიერობას, რიგიანობას, კანონისადმი პატივისცემას. ეს თვისება დაყოლილი აქვს უმთავრესათ საჯარო სამართალს: აქ ყველას შეუძლია დაესწროს, ყველას აქვს საშუალება თვალყური ადევნოს მის მოქმედებას, დარწმუნდნენ მის ვარგისობა-უვარგისობაში; ასეთი მნიშვნელობს აქვს მოხელე-მსაჯულობის მოქმედება და, რასაკვირველია, ნაფიც მსაჯულების ხელში იგი ორკეცდება მაინც. ზევით მოყვანილ მოსაზრებათა გარდა აქ დიდი ხელის შემწყობია, ის გარამოებაც, რომ ხალხია დან მოწვეული მოსამართლე ხალხშივე ბრუნდება და თვით გატაცებული კანონისადმი პატივისცემით, თავისი ნამბობით ასეთსავე პატივისცემას უნერგავს თავის მეზობლებს, ნაცნობებს და საზოგადოთ იმ პატარა რაიონს, საცა მისი სიტყვა მიწვდება.

ასეთია ნაფიც მსაჯულთა სამართლის ორგანიზაცია, კომპეტენცია და მნიშვნელობა. და თუ ჩვენში შემოიღეს იგი, უეჭველია, ისეთივე ორგანიზაცია ექნება, იგივე კომპეტენცია, როგორც რუსეთში და ყველა თავის თვისებებით შემოვა აქაც. ამიტომ საჭიროა აქვე გავითვალისწინოთ, აქვს თუ არა რამე ნაკლი მას ამდენ კარგ თვისებებთან, რის აცილება სასურველი და შესაძლებელიცაა?

ნ. კლავაძე.

(შეშდები იქნება)

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები კვ. ნინოშვილისა.)

Иныхъ времятъ, иныхъ картинъ  
Провижу я начало. ნეკრასოვი.

(შ ე მ დ ე გ ი \*)

III

რადგანაც შავი ზღვა საქართველოს მთელ რუსეთთან და ევროპასთან აერთებს, ეს გარემოება უსათუოთ დიდ გავლენას იქონიებდა შავი ზღვის ახლო-მახლო მდებარე ქვეყნების ცხოვრებაზე. ამ გარემოებას უნდა მიეწეროს რომ გურია-სამეგრელო კაპიტალისტური წარმოების გზას ადრე დაადგა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეები; მან გაიწვია ბათუმში, ფოთში, ნოვოროსიისკში, ოდესაში და სხვა ქალაქებში ქართველი მუშა, ააღორძინა ქართველებში ვაჭრობა და დაბადა სოფელში სხვა და სხვა მრეწველობა. „პალიასტომის ტბა“-ში მოთხრობილია, თუ როგორ შეცვალა გურული გლეხის ცხოვრება ახალმა პირობებმა. ცვლილება დაეტყო ერთის მხრით იმ საშუალებებს, რომლებითაც გლეხი თავს ირჩენს, მეორეს მხრით მის შეხედულებას და ჩვეულებას. კაპიტალიზმის განვითარებამ ევროპაში ყოველისფერი დაიმორჩილა, ყოველისფერს თავისი დალი დასვა. ხელოვნებაც კი, რომელიც ძველი ბერძნების აზრით ღმერთების კალთებ ქვეშ იყო შეფარებული, დღეს კაპიტალიზმის მონა განდა; უწინ თუ იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, დღეს ეს მხოლოდ ცალიერი სიტყვებია: სხვა მიზანიც რომ არა ჰქონდესრა ხელოვნებას, ფულს მაინც ვერსად დაემალება, ფული განდება მას მიზნათ; დღეს ევროპაში კარგი მწერალი ნიქს გარდა ფულით გატყენილ ჯიბესაც ნიშნავს. მეცნიერებამაც ფულის ბატონობას მოუხარა თავი. ამის საუცხოვეო მაგალითს წარმოადგენს შესანიშნავი მეცნიერი კოხნი, რომელმაც თავისი უსარგებლო ტუბერკულობით მილიონები შეიძინა: ბერინგი, რომელსაც დიფტერიის საწინააღმდეგო შრატის მილიონ ფრანკზე მეტს აძლევს წელიწადში. მრავ-

\*) იხ. „კვალი“ № 33



ვალ სხე. ზნე ჩვეულებასაც შეეხო კაპიტალიზმი თავისი ანგარების მოყვარე ხელით. დღეს ევროპაში ქორწინება მხოლოდ კომპერციულ აქტს წარმოადგენს; ამ ცვლილებამ ჩვენშიც დიდხანია იმნა თავი თავად აზნაურობაში. ჩვენებური თავადი და აზნაური ქორწინებით უმთავრესათ ფულის შეძენას ფიქრობს; იმერელი აზნაურის იდეალი ასი თუმანი მზითევია! გლენობაში კი ამ გარემოებას დღემდის არ შემოედგა ფეხი; ეს ათიოდე წელიწადია, ნელანელთა ამ წოდებაშიც შემოდის. ასეთმა ცვლილებამ ხალხის ჩვეულებასა და შეხედულებაში უშალ იქ იჩინა თავი, სადაც ცხოვრება უშალ დაადგა წარმოების ახალ გზას. ზემო იმერეთში დღემდის გლეხი არა თუ მზითვეს ითხოვდა, პირიქით თითონ უნდა მიეტანა სასიდედროსათვის ფული. დღეს აქა-იქ შეძლებული გლეხები მორიდებით მზითვეს თხოულობენ, მზითვიანი ქალის შერთვა სასახლოთ მიაჩნიათ. ქვემო იმერეთში კი, ნამეტურ გურია სამეგრელოში, გლეხი უმზითოთ ქალს ვეღარ ათხოვებს.

„იი დასაქტევი თლათ წახლა დრო! ამბობს იანე;— გაქარ ურისაყით ჰარტა ფულისკენ უჭიკრეს ეკელას თვლი მარწიფუეს კაცს მაქამდელს გუელი აღარ უბეკრის მკერდ ქვეშ. ჩემ შეიღობით ირ ვიტყვი და ჩემი ციციანი, მატანი, რომ უწინდელს დროში ყოფილიყო, მკვებითი კი არა, შირ აქეთ დეისაჯუოდენ იმის ცოლათ შეკისვამი, ჩვენ მუხუჭში იმისთანა ქალი რჩივს არ მკეპუნება. ასლს მისი წონა მკვებითი თუ არ დაჯუაჭუ თავზე, შინ უნდა დამბეკრდეს“

ახალმა ცხოვრებამ მზათვისათვის ზრუნვას გარდა ბევრი სხვა გასაეალიც შესძინა ივანეს; ყოველისფერს კი მისი ერთი კვალი მიწა ვეღარ გახვდა. ამიტომ მან სხვა სახსარს მიმართა; სხვებთან ერთათ ის დადიოდა ფოთის ახლო-მახლო მდებარე ტყეებში თლიდა ხეებს, ჰკრავდა ტყეებთ, გაზაფხულზე ჩამოჰქონდა ფოთში და ჰყიდდა. ივანეს ცხოვრებიდან ერთი ასეთი დრო აქვს აღებული ნინოშვილს. ესოდნებში ბავშვებს და ქალებს გარდა მუშა ხელი არ ღარჩენილა. ვასაც თავისი ხეები ჰქონდა ის იყო, და ვისაც არა, ისინი ქარით მიყავდათ. ახალმა ცხოვრებამ გლეხს მრეწველობისათვის მოაკიდებინა ხელი. მრეწველობამ გლეხები ორათ გაჰყო: ერთი პირი თითონ იხდიდა ბავს; თლიდა ხეებს და საკუთრათ ჰყიდდა, მეორე პირი კი დღითურ მუშათ გადიქა.

ივანემაც წაიყვანა რამდენიმე მუშა მთაში და დაამზადა ხეები მთაში ხშირათ უბედურების მსხვერპლი ხდებოდენ გლეხები, მაგრამ ნათქვამია, გაქირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო; რა უნდა ექნათ გლეხებს? ხიფათს რომ მორიდებოდენ, შიმშილით დაიხოცებოდენ. ივანე და მისი შვილი, ნიკოც, ამ ხიფათის წერა გახდენ და პალიასტომის ტბაში დაილუპენ. საბრალო ივანეს თავის თავზე აუსრულდა თავისი სიტყვები:

„ასკა უბედუკი მუშა კაცის საქმე: მუშაობს, ფაცუკობს, აი იქით, აი აქეთ, გეისკადგ და ჩატკებს საცხს, ჩაკაც მწეკი ისე! ვინ შეიტყობს ჩამდენი ზედიგაი, სიმონიგაი, გოგეი, ამ კუთხეში ჩაკეტება, ჩამდენი სხვა კუთხეში და ჩამდენი სად! რა არის ჩვენი საცოცხლე!“

ნინოშვილის ერთ დიდ ღირსებას ცხოვრების სინამდელით ნატვა შეადგენს; ზოგიერთ მოთხრობებში ეტყობა ტენდენცია, როგორც ქვევით დავინახავთ, ხოლო, რაც შეეხება გლეხის ცხოვრების და ბუნების დახასიათებას უნაკლულოა. თუ რომელიმე მწერალს უყვარდა გლეხი, გული შეტკიოდა მისთვის, ნინოშვილში ყველაზე უფრო იყო განვითარებული ეს თვისებანი — ასეც უნდა ყოფილიყო; ღარიბი გლეხის შვილმა, სიღარიბეში გაზრდილმა მალე გაიცნო ხალხის მდგომარეობა, ნათელი გონების და მგრძობარე გულის პატრონმა შეიყვარა დაზარულნი; თუ საქმით, თუ კალმით ის იბრძოდა ბედკრულთა ტვირთის შემსუბუქებისათვის და ამ ბრძოლაში დადნა მთელი მისი არსება. არც ერთ მის მოთხრობაში არ არის არც ქადაგება, არც მოწოდება ხალხის დასახმარებლათ, პირდაპირ ნათქვამი; ის მხოლოდ პირუთენელათ ხატავს ცხოვრებას, მაგრამ ხატავს ისე ნამდვილათ და ცხოველათ, რომ შეუძლებელია, თქვენც არ აგიტოკდეთ გული, თქვენშიც არ დაილაპარაკოს სინიღისმა და სურვილი მაინც არ დაგებადოთ უბედურთა, ცხოვრების გაუშჯობესების ზრუნვისათვის; სურვილი კი პირველი ნაბიჯია საქმისაკენ. ნინოშვილს უყვარს უზომოთ გლეხი, მაგრამ არც ერთ ჩვენ მწერალს არ გამოუჩენია ასეთი საზრიანი სიყვარული გლეხისადმი, როგორც მას. დანარჩენი ჩვენი მწერლები დაბრძანებული არიან გლეხის სიყვარულით, ისინი ან ვერ ხედავენ გლეხის ნაკლულეყანებას ან ხელს აფარებენ ამ ნაკლულეყანებას, თითქო ემინიათ. თუ ნაკლულეყანება გამო-

ვამჟღავნებდა, ვერც სხვას შევაყვარებთ გლენს და ჩვენც შეგვეძულდებოდა. ასეთია ილ. ჭავჭავაძე, ე.ე. გაბაშვილისა, სოფ. მაგლობლიშიელი, რომელსაც თავის უკანასკნელ მოთხოვნაში „წარსულიდან“ გლენის ბუნება ყოველგვარი პატიოსნების და უმანკოების ზღვით მიიჩნია. ნინოშვილი კი ღირსებასთან ერთად სრულად ხატავს გლენის ნაკლულევენებასაც. გლენის ნაკლულევენება მის სიყვარულს სრულიადაც არ ასუსტებს, რადგანაც იცის, რომ უნაკლულო ადამიანი არ მოიპოვება და ამას გარდა გლენის ნაკლულევენება უმთავრესათ მისი უფიცობის და ცხოვრების ბრალია. მიუხედავად ყოველივე ამისა მკითხველიც იყვარებს ნინოშვილის გლენს, თანაუგრძნობს მის გაჭირვებულ მდგომარეობას. ჩვენ დანარჩენ მწერლებს უყვართ გლენი პატიოსანი, ზნეობა ამაღლებული, უნაკლულო ე. ი. ისეთი გლენი, რომელიც მხოლოდ მათ ოცნებაშია გამოხატული; ნამდვილი გლენის სიყვარული კი მათ არ შეუძლიათ. ნინოშვილს კი მართა ღირსებისათვის არ უყვარს გლენი; ის ხედავს, რომ გლენს ცხოვრება ავიწროებს, უსამართლობა სულს ჰხუთავს, გონების სიბნელე და სხვა და სხვა დაჩაგვებული ჩვეულებანი ლუპავს და ეს სრულიად საკმარისია, რომ მან შეიყვაროს გლენი მთელი მისი ნაკლულევენებით.

— „ეი, ჭაბო, ბიჭო, სად არის შიში და ერთობა! ჩვენსავე მომკვებს რომ არ ეღადავება, ვის რა სული ქონდა ჩვენთან! შიშა დაჯატი და უშიშრობა! ჭაბო... მაშინ რომ ფხარადან არ გამოგვშლდნენ!.. მოატყუეს უბედურები, ალაღატები და მეჩე თითონ უღადავებს!.. უსამსხამო რომ ერთშიწობა იცოდეს და ერთქამეთის ფხარას მიცემს, მაშინ“... ამბობს გულნატკენი ივანე. რას უჩივის ასე ივანე? იმას, რომ წინეთ მას ხეებში ბაჟს არაინ ახდევინებდა, დღეს კი ისევე გლენების წყალობით მათ „ბაჟით ხდიან სულს“. მთას ერთმანეთს ეღადავებოდნენ თავდაზნაურობა, სამღედლოება და გლენობა. რადგანაც გლენები დიდძალი ფლობდნენ მთას, მონაწილეობას ვეღარივინ წაართმევდა, მაგრამ გლენი ისეთი ალტრუისტი და საზოგადო ინტერესის დამცველი არ არის, როგორც სხვა მწერლები გვჩვენებენ. თავადობამ ჩამოაგდო გლენებში განხეთქილება; ისინი თავის ნაყმევებს ეუბნებოდნენ: თქვენ არ გართმევთ და სხვას რას დაეძებთო. აზნაურებიც ამასვე ეუბნებოდნენ თავის ნაყმევებს; ასე იქცეოდა ხაზინა და ეკლესიაც.

„დაიწყო ნელანელა რდეკვა გლენების ერთ შიშო...“  
 ბამ, ზოგი თავადს ეკედლებოდა, ზოგი აზნაურს, ზოგი — ხაზინას. დაჩა მტრე ნაწილი გლენობისათვის, მაგრამ რაღა დაჩენა იყო, იმისთანა დაჩენა! ის გლენები, რომლებმაც მათ უღადავებს, ილაჟს უწევდათ და, თუ სის წაწმენით, თუ ცრუ მოწმობით. ისე თვე არ წავიგოდა, რომ ამით შოკის თავშიწის მტრეკვა არ მომხდარიყო. ვინ იცის, რა ღონეს არ ხმაწობდნენ ერთმანეთის დასაღუბავათ! ჩუმით ტყუილს უკიდებდნენ ერთმანეთს სასწავლს და ტყუილს ახუგებდნენ ვაიკვასითა და რფფით მონაგარს საწინა საცხაკვებებს! გზებზე თოფით უხვდებდნენ და ჩუმით ჭკვავდნენ ერთმანეთს; ცილს უგონებდნენ და სისხლის სამართალში აძლევდნენ“.

შეიძლება, მკითხველმა თქვას: გლენები გააბრიყვეს და მიტომ მოიქცენ ასეო; მაგრამ გლენი რომ უნაკლულო იყოს, ასეთ სისაძაგლეზე ვერ გააბრიყვებენ: წვითა და დაგვით ლუკმას ჭამს გლენი, მან კარგათ იცის სილატაკის გემო, ისიც ადამიანია, მასაც ენატრება ტკბილი ცხოვრება; ამიტომ ის უფრო თავის თავზე ფიქრობს, თავის თავისათვის ზრუნავს და შემთხვევის დროს ეგონიში მას ბევრ სისაძაგლეს ადენიებს. ამით ჩვენ გლენის გაკიცხვა და დამცირება კი არ გვინდა, არამედ იმის აღიარება, რომ გლენიც ჩვეულებრივი ადამიანია და არა უცოდველი ანგელოზი, როგორც ზოგიერთი ჩვენი მწერალი გვჩვენებდა. სხვისაგან გაუბრიყველათაც რომ გლენი ხშირათ სისაძაგლეს ჩადის, ამის მაგალითს ჩვენ დავინახავთ „მასე მწერალი“-ს გარჩევის დროს.

ივ. გომარტოელი.

ასოთ-ამწყობთა საყურადღებოთ. ✓

ღიღინანია, რაც ვემორჩილებოდ თ ჩვენ უკულმართ სვე-ბედს, ქედმოხრილი ვემსახურებოდით ბეჭედით საქმეს და მცირედენი წილი ჩვენც უნდა გვედღოს კაცობრიობისათვის სასარგებლო საქმის გავრცელებაში. ამისთვის ცოტათი მინც ყურადღების ღირსი უნდა ეყოფილიყავით, მაგრამ სამწყურბროთ ეს ასე არ მოხდა და ჩვენი ესოდენი ტანჯვა და შრომა ღირსი არ გახდა ყურადღებისა. რა არის

ამის მიზეზი? ადამიანური გრძნობა მოითხოვს ყოველ ჩაგრულ-დაცემულს ხელი გაუწოდოს, და ფეხზე დაეყენოს. ჩვენთვის კი, რომელნიც ესოდენ დროიდან ვემსახურებით აუროლებულ ატმოსფერაში ბეჭედით საქმეს და მთელი ჩვენი სიკაბუკე საქმეა — მოკლებული ყოველგვარ ჯან-მრთეობას, კინტიც არ დაუძრავთ. აქ, თუ უკაც-უარს ვიქნებით ცოტათი პირადი ინტერესების მიზეზიც უნდა იყოს, თორემ სხვა მოხელეებზე უფრო უურადლების ღირსნი კი უნდა ვყოფილიყავით ასრით-ამწყობნი!.. მგონი ყველამ კარგათ უნდა იცოდეს თუ რა ტანჯვით ვემსახურებით ჩვენ იმ განათლებულ პირთ, რომელნიც ქვეყნის სიკეთისათვის დღეწიან, და ჩვენ კი, როდესაც ღამის ათ საათზე ვთხოვეთ, ბატონო მოსვენება გინდა, არ შეგვიძლიაო, ამ სიტყვებით მოგვმართეს: „ფული გინდათ და მუშაობა არაო!“ დღეს ძლიერს ძლიობით ღირსი გავგზადესთაჲსი უურადლებისა და ჩვენ შესახებ გაზეთბიც კი ალაპარაკეს. ერთ მათგანს, ბ. ლალს, კარგათ ჰქონია გათვალისწინებული ჩვენი ტანჯვა-წამება, რაც მოკლეთ გადასცა მკითხველთ. ამისთვის ჩვენ ბ. ლალს დღეს მადლობას ვუცხადებთ, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ მისი რჩევა, ვითომ კიდევ მესტამბეები შევიზიაროთ ჩვენ საამხანაგო კასაში — ცოტა არ იყვეს მაშინებს, რადგან იმათ აქამომდე არ გამოუჩინიათ ისეთი გულ კეთილობა რომ ჩვენდა კეთილ-დღეობისათვის ეზრუნათ, დღემდის არ გვაცქეროდენ ამხანაგურის თვალით; და ნუ თუ დღეს ისე მოინათლენ, რომ დატოვებენ თავის პირად ინტერესებს და თანამოზიარე გავგიხდებიან ქირსა ლეონინში? ვეკობ ლე მემინიან კიდევ. ამისთვის ჩემი აზრით ისა ჯობია ჩვენი წადილი ჩვენშივე რჩებადეს და მესტამბის არაერთარ ზედ გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდეს. მესტამბეებს თუ კი გული შეტკივით ჩვენზე და ხედვენ ჩვენ უკიდურეს გაჭირებას, უფრო კარგი იქნება სამუშაოდროს შეგვიმცირებდენ და თავისუფალ ატმოსფერაში მტ დროს გვასუნთქებდენ. თვარა მარტოკა კასასა და ფული ვერას უშველის კაცის ბუნებრივ უძღურებას. როდესაც მთელი ჩვენი სიკაბუკე ორი ან სამი წლის შემდეგ ხელიდან გვეცლება უღეთო შრომისაგან და ყოველივე სისაღეს მოკლებული ვრჩებით ნახევრათ ცოცხალნი... მაშინ ჩვენთვის არაერთარ

კაპიტალს არ შეუძლია ჩვენი ჯანმრთელობის დაზარალება, თუ აქედან არ ვუპატრონეთ ჩვენ ნორჩ სიკაბუკეს. აი აქ არის საჭირო მესტამბეების თანაგრძნობა, რომ სამუშაოდროს შეგვიმცირონ, — გაუმჯობესონ სტამბეების სანიტარული მდგომარეობა და მითი შეძლება მოგვეცენ უფრო სიტხანს ჯანმრთელათ ვემსახუროთ მათევე, თვარა ფული თუ მოვაკროვეთ და კასა დავაარსეთ მომგელესაც ვუშოვით და გულშემამტკივარსაც. ვარდა ამისა არ შეგვიძლია, ცოტათი მაინც უურადლება არ მივაქციოთ „კალი“ ს № 27 ში დასტამბულ ბ. „ასოთ-ამწყობის“ წერილს, რომელიც თითქო კასას დაარსებას საჭიროთ არა ცნობს. რა უნდა შეგვეძლოს ნეტა, ყოველი მხრიდან დასუსტებულ-დაქსაქსულ მუშებს თუ არ შევადგინეთ მჭიდრო ამხანაგობა? დღეს ჩვენ ისე დაქსაქსული ვართ, რომ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, თუ ერთათ არ ვიმოქმედეთ. „სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესოთო“ — იძახის ბ. ასოთ-ამწყობი. — ძლიერ კარგია, ვის არ უნდა სისუფთავე და მეორე სართულში წამობრძანება, მაგრამ ვინ არ იცის თუ ამავებს რა ხარჯი უნდა და ამ ხარჯს მესტამბე ჩვენთვის იქამომდე არ გავაღებს, სანამ ძალა ნახევრათ ჩვენკენ არ იქნება. რა კი არაერთარ ძალა არა გვაქვს და ამისთვის ვითა უნებურათ ყმა და მორჩილი უნდა ვიყვეთ ნაღვრის კაპიტალისტებისა. სარდაფებში კი არა, უკიდურეს სიბნელეში რომ ჩავგრეკონ, ხმას ვერ ვიკლებთ, რადგან არაფერი სანუგეშო წინ არ გვიძევს. ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესობა შეუძლია მხოლოდ ათ „კასას“, ამხანაგობას, შეერთებულ ძალას, ნარჩენი სულ ფუჭია და ტყუილი ლაპარაკი. \*)

ქუთათურნი ასოთ-ამწყობი ა. ილიაძე.

გბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

მიხეილოავის ქუჩა, № 81 სახლი, დ. სლი-ვიცკისა. ავანთმყოფებს მიიღებს დილით 8 — 1 ს. და საღამოთი 5 — 8 საათამდე.

\*) ეს აზრები სწრელებით არ ეწინააღმდეგება იმას რაც აქაურ ასოთ-ამწყობმა „კალი“ გამოთქვა. ისიც სწორეთ ისეთ „კასას“ თსოვლბას, როგორსაც ქუთათურნი ასოთ-ამწყობი ე. ი. კასას ბრძოლისას და არა ჭიჭინაძეებისას.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.